# რთული ქცევა და აუტიზმი: განმეორებადი ქცევისა და კომუნიკაციური უნარების კავშირი რთულ ქცევასთან, აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვებში

**ნინო გომურაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია): კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი, PHD

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2018**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გომურაშვილი 22.06.18

# აბსტრაქტი


რთული ქცევის მართვა ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც ყავს ნეიროგანვითარების დარღვევების მქონე ბავშვები და არა მარტო. საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება ბავშვობიდან, თანატოლებთან ურთიერთობისა და ყოველდღიური ფუნქციონირების პროცესში იწყება. რთული ქცევა კი ბავშვის კოგნიტურ, სოციალურ, აკადემიურ და ფუნქციურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება, მისი გავლენა განსაკუთრებით აშკარაა ისეთი მდგომარეობების დროს, როგორიც არის აუტისტური სპექტრის აშლილობები.

კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრები აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე ბავებში დაადგინოს აუტიზმის სადიაგნოსტიკო მარკერების, კომუნიკაციური უნარებისა და განმეორებადი ქცევების კავშირი  რთულ ქცევასთან. კვლევაში გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი, თითოეული ცვლადის გასაზომად გამოყენებული იქნა სამი სახის კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 51-მა მშობელმა, რომლების შვილებიც არია 6-დან 18 წლამდე აუტისტური სპექტრის აშლილობების დიაგნოზის მქონე ბავშვები. ბავშვები სქესის მიხედვით განაწილდნენ შემდეგნაირად - 6 (13,7%) გოგო, ხოლო 45(87,3%) ბიჭი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განმეორებითი ქცევების, კომუნიკაციური უნარების დეფიციტისა და რთული ქცევების მაჩვენებლები ბიჭებთან უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებთან. ასევე, არსებობს საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია კომუნიკაციური უნარების დეფიციტს და რთულ ქცევას, განმეორებად ქცევებსა და რთულ ქცევას შორის. კვლევაში გამოყენებული იქნა რეგრესიული ანალიზი, რისი მეშვეობითაც დადგინდა კომუნიკაციური უნარების დეფიციტს და რთულ ქცევას, განმეორებად ქცევებსა და რთულ ქცევას შორის არსებული წრფივი

კავშირი, შესაბამისად, შესაძლებელია განისაზღვროს რთული ქცევების რაოდენობა განეორებადი ქცევებისა და კომუნიკაციური უნარების დეფიციტის არსებობის დროს.

**საძიებო სიტყვები:** აუტისტური სპექტრის აშლილობები, კომუნიკაციური უნარების დეფიციტი, განმეორებადი ქცევები, რთული ქცევა.

# Abstract

Management of challenging behavior is a big challeng for evry parent who has a son or a doughter with neurodevelopmental disorders and not only for them. The involvement into social process, forming a full member of society, communication with peers and daily functioning process begins from the childhood. The challenging behavior of the child has a negative impact on the cognitive, social, academic and functional development of child, and its influence is particularly evident in situations such as the autistic spectrum disorders.

The goal of the research is to identify the connection of challenging behavior with the autism diagnostic markers, communication skills and repetitive behaviors in the content of autism spectrum disorders. The method, which was used in the research is a survey design, which consist the survey administration. 51 parents took part in the survey who had 6 to 18 years old children with autistic spectrum disorders. Children are divided by gender: 6 (13,7%) girls and 45 (87.3%) boys.

The study revealed that the rate of repetitive behavior, communicative skill's deficits and challenging behaviors is higher with boys than the girls. There is a positive correlation with medium strength between deficit of communicative skills and challenging behavior, also, there were same connection patterns between repetitive behaviors and difficult behavior. In the study, regressive analysis was used to determine the linear relationship between shortcomings of communicative skills and the challenging behavior, repetitive behaviors and difficult behavior.

Consequently, it is possible to determine the number of challenging behaviors when there is a shortage of communication skills and repetitive behavioral patterns.

**Key Words**: Autism Spectrum Disorders, deficit of communication skills, repetitive behaviors, challenging behaviors.

# მადლობა

მადლობას ვუხდი ქ-ნ ნატა მეფარიშვილს დაუღალავი შრომისა და გაწეული დახმარებისთვის. მისი კონსულტაციები კვლევის ინსტრუმენტებსა და სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით შეუფასებელია. ასევე, დიდი პატივისცემით მოვიხსენიებ ყველა იმ მშობელს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კითხვარების შევსებაში, კვლევა ვერ ჩატარდებოდა მათი აქტიურობისა და მხარდაჭერის გარეშე.